

მემორანდუმი 2013-7/22

ქ.თბილისი

22 07 2013 წელი

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი და შპს "თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის" სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან/და გაუქმების შემთხვევაში, სტუდენტებისათვის ამავე სპეციალობის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უზრუნველყოფის შესახებ

შეთანხმების მხარეები:

ერთის მხრივ,

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი (შემდგომში უნივერსიტეტი), რომელსაც წინამდებარე მემორანდუმის მიზნებისათვის წარმოადგენს მისი რექტორი პროფესორი მამუკა თავხელიძე

მეორეს მხრივ,

შპს "თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი", რომელსაც წინამდებარე მემორანდუმის მიზნებისათვის წარმოადგენს მისი რექტორი, პროფესორი ვალენტინა საყვარელიძე

მოქმედი კანონმდებლობისა და მხარეების სადამფუძნებლო დოკუმენტებით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე მემორანდუმს სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ურთიერთანამშრომლობის შესახებ.

მუხლი 1.

მემორანდუმის საგანი

მემორანდუმის საგანს წარმოადგენს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი და შპს - "თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტს" შორის ურთიერთ თანამშრომლობა სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის უწყვეტად განხორციელებისა და საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, სასწავლო უნივერსიტეტში ამ პროგრამებზე არსებული სტუდენტებისათვის ამავე სპეციალობის საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის გაგრძელებისათვის პირობების შექმნა

მუხლი 2.

მხარეთა უფლება-მოვალეობები

2.1. ერთ-ერთი პარტნიორი დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში, ამ მემორანდუმით გათვალისწინებული მიზნების განსახორციელებლად

ერთ-ერთი პარტნიორი დაწესებულება იღებს უფლებებსა და ვალდებულებებს უზრუნველყოს ამ პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტებისათვის, ამავე სპეციალობის საგანმანათლებლო პროგრამის შეთავაზება, შემდეგი პირობების დაცვით:

- ა) თითოეული მხარე, მეორე მხარის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამისათვის გამოყოფს შესაბამისი რაოდენობის ადგილებს მასთან განხორციელებად სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამაზე, რაც მხარეებს სჭირდებათ;
- ბ) სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში, სტუდენტებისათვის მსგავსი მიმართულების სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლებისათვის მიმღები მხარე, ახორციელებს ჩარიცხვას გამოცდის, გასაუბრების ან რაიმე სხვა სახის დამატებითი პირობების გათვალისწინების გარეშე. ასევე, მიმღები მხარე უზრუნველყოფს გადამსვლელი სტუდენტის მიერ სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარებას.
- გ) იმ შემთხვევაში, თუ მიმღები მხარისათვის გამოიკვეთა, რომ სტუდენტის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამა არ შეესაბამება მის საგანმანათლებლო პროგრამას, იგი შეიმუშავებს ინდივიდუალურ პროგრამას, რომლითაც მოხდება სწავლება და პროგრამის პროექტს უთანხმებს სტუდენტს.
- დ) საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში, მიმღები პარტნიორი დაწესებულება აფორმებს სტუდენტებთან სასწავლო-საგანმანათლებლო ხელშეკრულებას, რომელშიც განსაზღვრული იქნება ყველა ის წესი და პირობები, რაც დადგენილი იყო იმ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, საიდანაც სტუდენტი გადმოდის;
- ე) სტუდენტების გადაყვანის შემდგომ, მხარეები თანხმდებიან, რომ სწავლის საფასურის გადახდა მოხდება იმ ოდენობით, რა ოდენობითაც ხორციელდება მათი სწავლება დაწესებულებაში. ინდივიდუალური პროგრამის შემუშავებისა ან და პროგრამების განხორციელებაში დამდგარ გაუთვალისწინებელ ხარჯებს ანაზღაურებს გამშვები მხარე.

მუხლი 3.

მემორანდუმის მოქმედების ვადა

- 3.1. მემორანდუმი ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 5 წლის განმავლობაში.
- 3.2. მხარეთა შეთანხმებით შესაძლებელია აღნიშნული მემორანდუმის მოქმედების გაგრძელება. შეთანხმება საჭიროებს წერილობით ფორმას.

მუხლი 4.

მემორანდუმის შეწვეტა/მოშლა

მემორანდუმი შეწყვეტილად ითვლება:

- ა) მემორანდუმით გათვალისწინებული ვადის გასვლისას;
- ბ) მხარეთა მიერ ახალი მემორანდუმის დადების შემთხვევაში, რომლითაც ძალადაკარგულად იქნება გამოცხადებული წინამდებარე ხელშეკრულება.

მემორანდუმის ვადამდე მოშლა შესაძლებელია ერთ-ერთი მხარის ინიციატივით.

4.3 მემორანადუმის მოშლა ფორმდება წერილობითი ფორმით.

მუხლი 5.

სხვა პირობები

5.1. მემორანდუმი შედგენილია ორი თანაბარი იურდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად.

5.2. ამ მემორანდუმის კონკრეტული პირობების ცვლილებები ხორციელდება მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, წერილობითი ფორმით. რომელიც მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

5.3. წებისმიერი საკითხი, რომელიც არ არის რეგულირებული წინამდებარე მემორანდუმით, შესაძლებელია გადაწყდეს მხარეთა მოლაპარაკების გზით.

წინამდებარე მემორანდუმის პირობებზე შეთანხმების დასადასტურებლად
მემორანდუმს ხელს აწერენ:

მხარეთა რეკვიზიტები:

გრიგოლ რობაქიძის სახელობის
უნივერსიტეტი
თბილისი, ჯანო ბაგრატიონის ქუჩა,
6
რექტორი მამუკა თავშელიძე
(ხელმომწერი პირის გაშიფვრა)
ბ.ა.

შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო
უნივერსიტეტი
თბილისი, 0144, ქ.ჩოლოყაშვილის ქ.53
რექტორი ვალენტინა საყვარელიძე
(ხელმომწერი პირის გაშიფვრა)
ბ.ა. 3. თუმაშვილ

